# ქართული აზრი

№ 32 | ნიუ-იორკი, მაისი, 1959 წ. | GEORGIAN OPINION | NEW YORK, MAY 1959

> „ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე".
>
> **აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

**ნიუ-იორკი. მაისი, 1959 წ.**

ოცდა ექვსი მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლოა.

შეიძლება ზოგიერთმა იფიქროს, რომ განახლებული საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდი ისე მოკლე იყო, რომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ შეიძლება მიეცეს. ეს მოსაზრება გამართლებული იქნება, თუ საკითხს მხოლოდ რიცხობრივად მიუდგებით. ჩვენის აზრით კი საჭიროა ამ ეპოქას სულ სხვა საზომით მიუდგეთ. ხალხისა და ადამიანის ცხოვრებაში ხანდისხან წარმოიშობიან ხოლმე მომენტები, თუმცა მოკლე ვადიანი, მაგრამ დიდ მნიშვნელოვანები, რომლებიც სამუდამოდ ასვამენ მათ ცხოვრებას და განსაკუთრებულ მიმართულებას აძლევენ მათი ისტორიის მსვლელობას.

918-21 წ. დამოუკიდებლობის პერიოდი სწორედ ასეთ მომენტად ჩაითვლება ქართველი ერის ცხოვრებაში. ეს იყო ჩვენი ქვეყნის გამოცდა: გვქონდა თუ არა თავისუფალ დამოუკიდებელი ცხოვრების სურვილი და უნარი. ქართველმა ერმა გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა და შეუძლებელია ამას თავისებური გავლენა არ მოეხდინა ჩვენი ისტორიის წარმართვაზე. საჭიროა ისიც ხაზ გასმით აღინიშნოს რომ ეს გამოცდა არ ჩატარებულა ქართველი ერისათვის ხელსაყრელ ატმოსფეროში და გარემოცვაში. საგარეო მდგომარეობა მეტად რთული და ძნელი იყო. რაც შეეხება თვით ხალხს, პირველ მსოფლიო ომ გადახდილი და შემომქმედ ძალა განადგურებული, უფრო დაცემის პერიოდს განიცდიდა, ვიდრე აყვავების. ამ გვარად, საქართველო საბედისწერო გამოცდას არც თუ ბრწყინვალედ მომზადებული შეხვდა.

ამ გარემოებაში მან მაინც მოახერხა განემტკიცებინა ჩვენში სამშობლოს მარადიულობის იდეა და ამასთან დაკავშირებით ქართველი ერის ბრწყინვალე და ბედნიერი მომავლის რწმენა.

1918 წ. მრავალი რამ იყო გამოუცნობი, რომელიც იპყრობდა სახელმწიფო მოაზროვნის გონებას. ისმებოდა საკითხი: შესძლებს თუ არა ქართველი ერი, საუკუნეზე მეტი ინტერვალის შემდეგ, კვლავ დაუბრუნდეს თავის ისტორიულ ტრადიციას და შექმნას დამოუკიდებელი ცხოვრება? საქართველო ხანგრძლივად იყო ჩაჭედილი უცხო-რუსულ სახელმწიფოს ჩარჩოებში და გადაჯაჭვული მასთან პოლიტიკურ-ეკონომიური სტრუქტურით. 117 წ უცხო სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნას არ შეიძლებოდა თავისი გავლენა არ მოეხდინა. ეს უმთავრესად იმაში გამოისახა, რომ იმ ეპოქის ქართული მოღვაწეები ერთნაირად არ უდგებოდნენ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივი არსებობის იდეას და ამ ნიადაგზე ჩვენი ერის შემომქმედი ძალა გაერთიანებული არ იყო. შეგნებულ და გარკვეულ მამულიშვილების გვერდით მოიძებნებოდნენ ინდიფერენტულად განწყობილი ინტელიგენტებიც. იყვნენ ისეთი მოღვაწენიც, რომლებიც ეროვნულ საკითხზე მაღლა სოციალურს აყენებდნენ. ამ უკანასკნელებს, თავისი ბრძოლითა და მოღვაწეობით, მხოლოდ ირიბული გავლენის მოხდენა შეეძლოთ ჩვენს ეროვნულ საქმიანობაზე.

სულ სხვა მდგომარეობაშია დღევანდელი საქართველო, რომელიც ცხოვრობს სამშობლოს განთავისუფლების ურყევი რწმენით. მათ შორის დაურღვეველი ერთობაა ეროვნულ საკითხში და დღევანდელი საქართველო მრავალი საკითხის, და მათ შორის სოციალურის, გადაწყვეტის შესაძლებლობას მხოლოდ ეროვნული თავისუფლებისა და თვითარსებობის ასპექტში ხედავს.

1918 წ. ქართულ ცაზე მრავალი ღრუბელი ჩამოწვა. განუწყვეტელ ჯაჭვად გვევლინებოდა საგარეო საფრთხე. დამოუკიდებლობის სამი წლის მანძილზე საქართველო იძულებული იყო ეწარმოებინა მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო საგარეო პოლიტიკა. გავიხსენოთ მხოლოდ უმნიშვნელოვანესი მომენტები.

ვართულება დაიწყო პირველსავე დღეს, როდესაც კავკასიის ფრონტი დაირღვა და დისციპლინა დარღვეულმა ჯარმა უკან სვლა დაიწყო. კავკასიის მიწაზე გაჩნდა გაბოლშევიკებული, გახულიგნებული მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ბრბოები, რომლებიც ლამობდნენ წაელეკად და დაენგრიად ყოველივე რაც გზათ შემოხვდებოდათ. ეს საფრთხე ავიცილედ, რაშიც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ქართველ მუშებს, რადგან იმ დროს ჯერ კიდევ სხვა შეიარაღებული ძალა საკმარისად არა გვყავდა.

ჯერ კიდევ სავსებით არ იყო თავიდან აშორებული ეს საფრთხე, რომ წარმოიშვა ახალი, ბოლშევიკების მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ზავით გამოწვეული. იმ დროინდელი ოსმალეთის მადის შეზღუდვა მხოლოდ გერმანიის დახმარებით შეიძლებოდა. ეს იყო ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეეძლო ჩვენი ხსნა. საქართველოს გონიერმა და ზომიერმა დიპლომატიამ ამასაც მიაღწია და ჩვენი დამოუკიდებლობა ოსმალეთს არ გავათელინედ. ამ დახლართულსა და სახიფათო მდგომარეობაში საჭირო იყო განსაკუთრებული სიფრთხილე, შორსმჭვრეტელობა და სახელმწიფოებრივი სიბრძნე, რომ გარდაწყვეტილება სწორი ყოფილიყო და დროული. ზოგიერთები ფიქრობენ, თითქოს, მოვლენათა ვითარება სახელმწიფო მეთაურებს აიძულებს ესა თუ ის სწორი გარდაწყვეტილება მიიღონ. ამას ჩვენ არ ვიზიარებთ, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ასეც რომ ყოფილიყო, ეს მაინც არ ამცირებს მათ დამსახურებას, რომლებმაც შესძლეს ამ მტრული ხლართების მშვიდობით გავლა და არც მოერიდნენ ქვეყნის რთულსა და კრიტიკულ მდგომარეობაში გაბედული გარდაწყვეტილება მიეღოთ და ამის პასუხისმგებლობა ერისა და ისტორიის წინაშე ეკისრად.

გერმანიის დამარცხებამ ახალი დაპრკოლებები წარმოშვა. იცვლებოდა საერთაშორისო განლაგება და ამას არ შეიძლება კავკასიის პოლიტიკაზეც გავლენა არ მოეხდინა. საქართველომ ამ გარემოებასაც სწორედ აუღო ალღო და მიაღწია დასავლეთის ქვეყნების ცნობას. ამავე დროს მან თავის სამხრეთ მეზობელ, ქემალის ოსმალეთთანაც კეთილი ურთიერთობის დამყარება მოახერხა.

ჩვენ კავკასიელ მეზობლებთან ისეთი ურთიერთობა მყარდებოდა, რომ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, მისი ნორმალური განვითარება მოგვცემდა კავკასიის საერთო ინტერესების მთლიან, გაურღვეველ და მტკიცე ბლოკს.

სამი წლის დამოუკიდებლობის ისტორია სავსეა ბოლშევიკებთან შეხეთქებებით — ჯერ სამხრეთის, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთ საზღვრებზე. ის სავსეა აგრეთვე რუსულ თეთრგვარდიულ ძალებთან დაპირდაპირებით, რომელთა მეთაურებს სავსებით არ ესმოდათ საქართველოს განსაკუთრებული მდგომარეობა და ჩვენი დამოუკიდებლობის მტრულად განწყობილებით მხედველობიდან უშვებდნენ, რომ მათთვის დიდათ სასარგებლო იქნებოდა ზურგში ჰყოლოდათ მეგობრულად განწყობილი ჯანმრთელი სახელმწიფო ორგანიზმი, რომელიც გარკვეულად აწარმოებდა ანტიკომუნისტურ პოლიტიკას.

ამგვარ რთულ გარემოცვაში საქართველომ მოახერხა შიგნით დაემყარებინა ნორმალური ცხოვრება და გარეთაც ნდობა დაემსახურებინა. ამის საუკეთესო დამოწმებას იძლევიან იმ დროს იქ ჩამოსული უცხოელები, რომლებიც, განურჩევლად ეროვნებისა და პოლიტიკური მსოფლმხედველობისა, საქართველოს მშვიდობიან და ბედნიერ კუნძულად სახავენ აბობოქრებულ ზღვაში.

იწყება ახალი ეროვნული ცხოვრება: აღორძინდა ეროვნული კულტურა, გაიფურჩქნა ეროვნული მეცნიერება, ხელოვნება, მწერლობა და სხ... შეიქმნა ტფილისის უნივერსიტეტი რომელიც დღესაც, არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ თავისუფალ ქვეყნებშიც დიდი პატივით და ნდობით სარგებლობს.

ქრისტიანულ სამყაროში ერთმა უძველესთაგანმა ქართულმა ეკლესიამ დაიბრუნა რუსეთის მიერ მიტაცებული უფლება და დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ამ გვარად საქართველო გიგანტური ნაბიჯით მიისწრაფოდა წინ და ვერავითარი დაპრკოლება ველარ შეაჩერებდა, რათა მაღალ კულტურის შემქმნელ ერთა ოჯახში თავისი კუთვნილი, საპატიო ადგილი დაეჭირა. ქართველი ერის ეროვნული შემოქმედების მაღალმა უნარმა აიძულა კაცობრიობა, რომ მისთვის სერიოზული ყურადღება მიექციად და ანგარიში გაეწიად, რასაც თან მოყვა ჩვენი სახელმწიფოს იურიდიული ცნობა.

დამოუკიდებლობის დაკარგვის 41 წლის თავზე, როდესაც ცივი ანგარიშით უკეთებთ ჯამს სამი წლის მანძილზე გაწეულ შრომას და და ბრძოლას, როდესაც წარმოვიდგენთ მის შინა აღმშენებლობით, თუ საგარეო მიღწევებს, სრულიად მიუდგომლად შეგვიძლიან ვთქვად, რომ იმ დროინდელმა ქართულმა თაობამ გამოიჩინა მამაპაპეული, ტრადიციული სახელმწიფოებრივი სიბრძნე და 117 წლის შემდეგ უცხო ბატონობიდან გამოსულმა ბრწყინვალედ დაიჭირა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ეკზამენი. მან შექმნა საკუთარი სახელმწიფო ორგანიზმი და რომ მას თან მოჰყვა ეროვნული კულტურის აღორძინება, ეს ამტკიცებს, რომ ჩვენი ეროვნულ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ნორმალური გაგრძელება იყო ქართულ თვითარსებობის ტრადიციისა. თუ 1918 წ. ქართულ საზოგადოებრივ წრეებში არ იყო ერთობა და თანხმობა ეროვნულ საკითხში, თუ იყვნენ ინდიფერენტულად განწყობილნი და ისეთებიც, რომლებიც ეროვნულ საკითხზე მაღლა სხვა საკითხებს აყენებდნენ, საკმარისი შეიქმნა რეალობასთან დაპირდაპირება, რათა ყველა ესენი ერთ ჯგუფად ქცეულიყო — შემოკრებილნი ეროვნული დროშის გარშემო და თაყვანი ეცათ ეროვნულ სახელმწიფოებრივი თვითარსებობის იდეისათვის. ყოვლად ურწმუნო თომებიც კი აღივსნენ თავისი ერის შინაგანი ძლიერების და შემოქმედების უნარის მაღალი რწმენით.

ეს იყო ეროვნული სულის მაქსიმალური გამოვლინება, ეროვნული იდეის ბრწყინვალე გამარჯვება

ამ ეპოქაში ქართული საშოდან იშვა მთელი პლეადა ბრწყინვალე მამულიშვილებისა, რომლებიც, შესაძლებელია წარმოიშვნენ მაღალ ეროვნული ენტუზიაზმით გატაცებულ ერში და ისიც ეროვნული ცხოვრების გადამწყვეტ მომენტებში.

ქართველი ერის განსაკუთრებულმა თვისებებმა რევოლუციის პირველ დღეებშივე უარყო კომუნისტური შხამი და უძველესმა კულტურამ და ტრადიციულმა ქართულმა ნაციონალიზმმა ასაზრდოვა კომუნიზმთან ბრძოლის იდეა.

მართალია ხანმოკლე აღმოჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ისდავკარგეთ არა შინაგან ძალთა შეუთანხმებლობით და შინაგანი კრიზისის, ან სახელმწიფო მშენებლობის უცოდინარობით, არამედ ის წარგვტაცა გარეშე, უცხო ძალამ, რაც შეუძლებელია ჩაითვალოს ქართველი ერის ნაკლად და მის მოუმზადებლობად. მით უმეტეს, რომ ამ მწარე ხვედრს ვერ ასცდნენ ჩვენზედ უფრო მრავალრიცხოვანი და განმტკიცებული სახელმწიფო ორგანიზმის მქონე აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები. ხოლო დღეს კი მთელი მსოფლიო დგა რუსულ კომუნისტური იმპერიალიზმის საფრთხის წინაშე!

საბჭოთა საპყრობილეს დამხობისთანავე კვლავ გაიხსნება საქართველოსათვის ბედნიერი მომავალის გზა.

დამოუკიდებლობის ეპოქა, უპირველეს ყოვლისა, ჩაითვლება ჩვენი ერის ეროვნულ პოლიტიკური სიმწიფის ატესტატად. მაგრამ იგი ამის გარეშეც დიდ ღირებულებას შეიცავს. ეს იყო მიუცილებელი ბიძგი, რათა ეროვნული იდეა გამარჯვების ბრწყინვალე შერავანდედით შემოსილიყო.

ყოველი ერის ისტორიაში არსებობს ეპოქათა შორის გარდამავალი, ეპოქათა გადამბმელი ხანა, რომელიც ერის ცხოვრებაში ავსაცასტოვებს და კარგსაც. 1918-21 წ. ეპოქამ მხოლოდ სასურველი და სანეტარო მოგონება დასტოვა იმ შემზადებული ნიადაგით, რომელიც მომავალ თაობებს უადვილებს სამშობლოს მარადიული თავისუფლებისთვის ბრძოლას.

1918-21 წ. ეპოქა წარმოადგენს ქართული ისტორიის ბრწყინვალე და მიმზიდველ დასრულებულ თავს. მას შემდეგ წარმოებულ ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლებში დაცემულ მამულიშვილთა ადგილს იჭერს ახალი ძალა, ძალა აღმოცენებული 26 მაისის იდეაზე და დავაჟკაცებული მაღალ პატრიოტულ განცდებში.

**დ. შალიკაშვილი.**

## ქართული ემიგრაცია ანტი ბოლშევიკურ ბრძოლებში.

(წერილი მესამე.)

ამავე დროს კომუნიზმის ლიდერობა უსათუოდ დიდ ანგარიშს უწევს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ქართული ემიგრაციის მიერ წარმოებულ ბრძოლებს და აქედან ადვილი გასათვალისწინებელია მისი როლი და ღირებულება აღმოსავლეთ დასავლეთის კონფლიქტის შემთხვევაში. ქართული ემიგრაცია მთელი ორმოცი წლის მანძილზე შეუდრეკელად ატარებს ანტიკომუნისტური ბრძოლის დროშას და მოსკოვის იმპერიალიზმთან ბრძოლის ერთი პიონერთაგანია.

ქართული ემიგრაციის პოზიცია გამართლებულია, როგორც იურიდიულათ, ისე მორალურ-ზნეობრივად, რადგან 1921 წ. თებერვალში ადგილი ჰქონდა არა პოლიტიკურ რევოლუციას და რეჟიმის შეცვლას, არამედ რუსის ჯარის მიერ საქართველოს დაპყრობას. ეს გარემოება ზრდის თავისუფლებისთვის მებრძოლ კაცობრიობის სიმპატიებს და ქართულ ანტიკომუნისტურ ემიგრაციას საერთაშორისო ყურადღების ცენტრში აყენებს. თუ ამას მიუმატებთ საქართველო კავკასიის სამხედრო და ეკონომიურ მაღალ მნიშვნელობას, მაშინ ადვილი წარმოსადგენი იქნება თუ რატომ არიან ბოლშევიკები მონდომებულნი, რომ ქართული ემიგრაცია ან ფიზიკურად მოსპონ, და ან მორალურად გაათახსირონ.

საბჭოეთის ეს დიდი ყურადღება ქართული ემიგრაციის მიმართ თავისთავად მაჩვენებელია მისი მაღალი ღირებულობის და ჩვენც უფრო მეტათა გვმართებს მისი გაფრთხილება და მისი დაზოგვა.

მხედველობაში უნდა ვიქონიოდ, რომ ემიგრაციას მთელი თავისი არსებობის მანძილზე უხდებოდა ბრძოლა მეტად მძიმე პირობებში: ყოველგვარი უფლების და დაზღვევის გარეშე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მისიმდგომარეობა უფრო გაუარესდა, რადგან გამარჯვებული, მაგრამ ომისაგან დაქანცული დასავლეთის დამოკრატია ჯერ კიდევ საკმარისად არ იყო გარკვეული თუ რა რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა საბჭოთა იმპერიალიზმი და ქართული ემიგრაციის საბჭოეთისადმი შეურიგებელი პოზიცია მას არ მოსწონდა. დასავლეთის დემოკრატიამ არამც თუ მიატოვა ქართული ემიგრაცია, არამედ მრავალი ათასი ანტიკომუნისტურ ბრძოლებში დავაჟკაცებული ქართველი გადასცა რუსეთს.

მიუხედავათ ამისა, ქართული ემიგრაცია მთლიანად დარჩა ანტიკომუნისტურ პოზიციაზე და ვერც დასავლეთის მცდარმა პოლიტიკამ და ვერც ბოლშევიზმის მაცდურმა შეპირებებმა და უფრო ხშირად მუქარამ, ჩვენს ემიგრაციას ანტიკომუნისტურ ბრძოლაზე ხელი ვერ აალებინა.

ქართული ემიგრაციის მტრებმა არა ერთხელ სცადეს მისი მაღალი დანიშნულება დაემცირებინათ და მისი მნიშვნელობა „უცხოეთის და ზვერვის აგენტების" დონემდე ჩამოეყვანად. **ამ ცილისწამებასაც, ისევე, როგორც სხვა პროვოკაციებს, იგი ამაყი სიჩუმით შეხვდა, რადგან მან იცის თავისი ღირსება და ფასი. ჩვე**ნი რწმენით, ქართველი ერის მოაზროვნე ნაწილსაც ესმის, რომ მისი ემიგრაციის გარდაუვალი მიზანი და მისი არსებობის გამართლება

## ქართული ემიგრაცია ანტიბოლშევიკურ ბრძოლებში

ქართველი ერის კეთილდღეობა და მისი სასიცოცხლო ინტერესებისადმი მიძღვნილობა იყო არის და მარადის დარჩება.

მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე გიგანტური ძალების ჭიდილის პროცესში, დიდი ისტორიული წარსულის მქონე პატარა ერის მცირერიცხოვან ემიგრაციისათვის, ცხადია, რომ მსოფლიოს ბედ-იღბალის გადაწყვეტაში საქმე მის ხელში არ არის. ისიც ცხადია, რომ დასავლეთის დამოკრატია, მორალური პრინციპების გამო, მესამე მსოფლიო ომს არ დაიწყებს. მას რომ ამის სურვილი ჰქონოდა მიზეზი და საბაბი ბევრი ჰქონდა: მაგალითად აგრესია კორეაში, ინდო-ჩინეთში და აჯანყება უნგრეთში

რუსეთს კი, მიუხედავათ „სპუტნიკების“ და ხრუშჩოვის ტრაბახისა, ომისა დიდათ ეშინია, არა იმიტომ, რომ ეს მილიონობით ადამიანს შეიწირავს და ჰუმანური მოტივები აჩერებს, არამედ მრავალი სხვა და სხვა პრაქტიკული მოსაზრებების გამო: პირველი—ჯერ-ჯერობით ამერიკას თავისი სტრატეგიული ავიაციით, რუსეთის სრული განადგურება შეუძლან. რომლის ბაზების რკალშია რუსეთი მოქცეული. მეორეა,- ომის შემთხვევაში არა რუსი და პყრობილი ერები, რომელთა რიცხვი ერთად აღებული რუსობას სჭარბობს, ზურგში მეორე ფრონტს გაუხსნიან წითელ არმიას. უნგრეთის აჯანყებამ ეს საბოლოოდ ნათელჰყო. მესამეა სტალინის კულტის მოსპობის შემდეგ, ხრუშჩოვმა საბჭოთა მოქალაქის აზროვნებას, აქამდე უჩვეულო მიმართულება მისცა და ეხლა მას სურს თუ არა, მათი ეკონომიური მოთხოვნილებების მინიმუმი უნდა დააკმაყოფილოს და უფრო „ლიბერალური“ ტონითაც ილაპარაკოს, მისი ლოზუნგები, რომ ამერიკის სასოფლო სამეურნეო დონეს დაეწიოს და გაუსწროს, სწორედ ამის გამოვლინებაა. კარაქის და ზარბაზნების წონასწორობის თორმულის ავტორი, მოსკოვის ტირანი, ქვეყნიერებას მშვიდობიანობის ანგელოზად ევლინება და დასავლეთს აცხადებს ომის მაძიებლად. მეოთხე—ახლო აღმოსავლეთში რუსეთის ექსპანსიას, ირაქის გამოკლებით, არაბული ნაციონალიზმი გადაეღობა. ნასერმა სირიელი კომუნისტების ჯანდევნით და სირია ეგვიპტის გაერთიანებით, ჯერ-ჯერობით მაინც, კრემლს დაუმტკიცა, რომ კოლონიალური ერების შესახებ, მარქსისტული თეზა ყოველთვის წიგნის მიხედვით არ ვითარდება. ცხადია, რუსეთი ამ მიმართულებით ცდებს აგრძელებს, რაც უზომო ხარჯებს მოითხოვს და სურათის საბოლოო სახის წარმოდგენა ამ ჟამათ ძნელია.

აღსანიშნავია, რომ კრემლი მუშაობს მისგან დაშორებულ ტერიტორიებზე და არა ცდილობს იგივე მეთოდი იხმაროს მის მეზობელ თურქეთში. ალბათ იმიტომ, რომ მეზობელი ქვეყანა მის შინაურ ვითარებას და მის „კეთილ“ ზრახვებს კარგად იცნობს და კრემლი წინდაწინ დარწმუნებულია, რომ ახლო მდებარე ქვეყნებში მის პროპაგანდას ყოველი ფასი და ღირებულება დაკარგული აქვს. მეხუთე—ჩინეთი ძლიერდება და დასავლეთთან ომში დასუსტებულ რუსეთისათვის დიდ საფრთხედ გადაიქცევა. მითუმეტეს, რომ მათ ბევრი რამ აქვთ სადაო და „გასაყოფი“.

ამიტომ, ცხადია, რომ დღეს საქართველოს და სხვა საბჭოთა კავშირში მოქცეულ ერთა საკითხი არსად პრაქტიკულად არა დგა და ემიგრაცია უძლურია მოვლენები შესცვალოს, და თავის სასარგებლოდ წარმართოს და ყოველი მისი ცდა რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ასეთ პირობებში ემიგრაციას მხოლოდ იმის გაკეთება შეუძლიან, რომ ლეგალური საშუალებით შეეცადოს, რომ დასავლეთს გააცნოს ქართული საკითხი: მისი წარსული, კულტურა, მისი ეკონომიურ პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა და მას მომხრეთა და მეგობართა რიცხვი გაუმრავლოს.

აწარმოოს მუდმივი თანამშრომლობა ჩვენს ბედში მყოფ სხვა ერთა წარმომადგენლობასთან. გააძლიეროს კავშირი და თანამშრომლობა მეზობელ კავკასიელებთან და ოსმალეთთან და მათი კეთილი განწყობილება შემოინახოს. შეინახოს ემიგრაციის მაღალი მორალური დონე და გააძლიეროს დამპყრობელ რუსულ კომუნიზმთან ბრძოლისა და შეურიგებლობის სული; თვალყური ადევნოს სამშობლოში მომხდარ სულიერ-ფსიქოლოგიურ ცვლილებებს და სინამდვილეს არ ჩამორჩეს.

ქართველი ემიგრაციის მოვალეობაა საქართველოს მისცეს მოვლენათა სწორი და მართალი გაშუქება, რათა არ გახდნენ რომელიმე ავანტიურისტის პროვოკაციის მსხვერპლნი და მტერს არ მიეცეს მიზეზი, რომ ქართველები კვლავ უაზროთა სრისოს და ქლიტოს.

ქართველი ერი ორი ათეული წლის მანძილზე ქრისტეს ჯვრით და ხმალით იბრძოდა თავისი ეროვნული თვითარსებობისათვის. თემურლენგებს, შახ აბაზებს, აღა მახმად ხანებს და სხვა რჯულიანსა და ურჯულო მტრებს გადაურჩით, რადგან ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ თავდაცვითი ბრძოლის სიბრძნე, თავისი ერის ღრმა რწმენა და მისთვის თავდადების უნარი. ამ თვისებებმა შეგვინახა, ამან მოგვიყვანა დღევანდლამდე. ჩვენი თაობის გარდაუვალი მოვალეობაა ამ სანუკვარი მემკვიდრეობას მოუაროთ, უპატრონოდ და უკლებლივ გადავცეთ მომავალს. დღესაც ტყვედ ქმნილმა ქართველებმა გამოიჩინეს მამა-პაპეული სიბრძნე და „სიმტკიცე ნაჭედისა“. თანამედროვე ქართველი მეცნიერების ხელოვნების და სპორტსმენების, მაღალი მიღწევები ამის მღაღადებელია, რაც ქართველ ადამიანს და მის ემიგრაციას სიხარულით და სიამაყით ავსებს.

ერთა თვითი არსებობის იდეამ დღევანდელ მსოფლიოს ბევრი საოცარი მომენტები განაცდევინა; დიდი ინდოეთიდან მოყოლებული პატარა კიპრის კუნძულამდე მედიდურათ დანავარდობს და ისტორიის ეს თავი ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

ჯერ-ჯერობით მხოლოდ რუსეთმა შესძლო უმაგალითო ტერორით და მრისხანე ტირანიის წყალობით ერთა საპყრობილეს შენარჩუნება, მაგრამ რამდენი ხნით? ისტორიის ჩარხს ვერც ჩეკის მრისხანება დააბრუნებს უკან და ამასაც ბოლო მოეღება. საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკას თითქოს უფლება აქვს საბჭოთა კავშირიდან გამოვიდეს. კრემლს არამც თუ ამ უფლების განაღდების, არამედ იმისაც კი ეშინიან, რომ საქართველოს სოც. რესპუბლიკას გაერთიანებულ ერებში თავისი წარმომადგენელი მისცეს, მიუხედავათ იმისა, რომ ეს წარმომადგენელი, როგორც ყვლა მის მიერ დაპყრობილი ქვეყნების, მასვე მისცემს ხმას. როგორც წინა წერილში აღვნიშნედ, თუ მსოფლიოს გადარჩენა უწერია შეიქმნება ერთა ოჯახი, სადაც საკითხს გადასჭრის სამართალი და არა ხმალი და ამაში ვხედავთ ჩვენ საქართველოს საიმედო მომავალს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კრემლის აგრესიის წყალობით კაცობრიობას მესამე მსოფლიო ომის ტრაღედია თავს დაატყდა, ქართველი ერი და მისი ემიგრაცია უნდა შეეცადოს, რომ ომის მრისხანება მის ტერიტორიას აიცდინოს და ბოლშევიზმთან მებრძოლ ფრონტში დგომით და ბრძოლით ჩვენი ქვეყნის სუვერენობა დავაზღვიოთ.. შესძლებს კი ამას მცირერიცხოვანი და სუსტებული ქართული ემიგრაცია? ამაზე პასუხს მომავალი გასცემს. ქართველ ერს კი ეცოდინება, რომ მის ჰაერს ნატრულმა შვილებმა ცდა არ დააკლეს და იქნებ უკვდავი მგოსნის, ნ. ბარათაშვილის „მერანის“ ბოლო სიტყვებიც მოიგონოს.

გ. გაბლიანი.

## სიმართლის მოყვარული ხრუშჩოვი

საბჭოეთის ახალი დიქტატორი დარწმუნებულია, რომ მას სამუდამოდ შეუძლიან პირი აუკრას საბჭოთა ჯოჯოხეთში მოქცეულ ხალხს და თავისუფლებაზე, თანაარსებობაზე, დემოკრატიაზე, დამოუკიდებლობაზე და მშვიდობიანობაზე ლაყბობით ასულელოს კაცობრიობა. ჩვენის ღრმა რწმენით კი, თვით კრემლის მიერ დამონებული ხალხიც დარწმუნებულია კომუნიზმის ავზნიანობაში და თუ ჯერ-ჯერობით პირაკრულია და იძულებულია კრემლის ლიდერების არამზადობას კვერი უკრას და ბანი მისცეს, ეს მხოლოდ იქ გაბატონებული ტერორის ბრალია და არა მათი გულუბრიყვილობის, ან მათი გულწრფელი მინდობილობის

თუ ხრუშჩოვი იმდენათ დარწმუნებულია კომუნისტური ბლოკის დაკერძოდ საბჭოთა მოქალაქის ერთგულებაში, რატომ არ გახსნის საპყრობილეს კარებს და არ მისცემს შესაძლებლობას თავის მოქალაქეს თავისუფალი ქვეყნები თავისუფლათ დაათვალიერონ? რატომ არის, რომ თავისუფალი მსოფლიოდან მხოლოდ ისეთი ჟურნალ-გაზეთები ტრიალებენ მათ ბაზარზე, რომლებიც მათ ხოტბას ასხამენ და მხოლოდ მათგან მოყიდული ჯგუფების რადიო გადაცემები ისმის?

ყოველ ტოტალიტარულ რეჟიმს სჭირდება თავისი მოსახლეობის მკაცრი იზოლაცია და „სანიტარული სალტე“ თავისუფალ ქვეყნებ შორის. კაცობრიობის ისტორიაში ცნობილ ტირანებ შორის ყველაზე მრისხანე და უხეში კომუნისტური ტირანიაა. ეს ნაწილობრივ რუსის ბუნებიდანაც გამომდინარეობს.

თავისუფალი კაცობრიობისათვის კომუნიზმი უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს, არა მარტო სამხედრო თვალსაზრისიდ, არამედ თავისი იდეოლოგიური სტრატეგიით. ქვეყნიერებაზე არ მოიძებნება არც ერთი კუთხე, სადაც მსოფლიო მშვიდობიანობისათვის რაიმე საფრთხე წარმოშობილა, რომ ის შემზადებული არა ყოფილიყო მოსკოვის აგენტების მიერ, ან დაუყონებლივ არ ჩაეყო მას თავისი სისხლიანი ხელები, რასაც თანა სდევს წითელი ტირანიის მიერ დამონებულ მოქალაქეთა „მასიური“ მიტინგები. ცხადია, მიტინგებზე ყოველი მოვლენა ხრუშჩოვის თვალსაზრისიდ უნდა განიხილოს და მიღებული რეზოლუციაც მისი ლექსიკონიდ შეადგინონ.

ვაზ. „კომუნისტის“ თებერვლის 3-ის ნომერში ვკითხულობთ: „ბელგიის კონგოში მომხდარ ამბებზე გაიმართა მიტინგი. მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: დედა მიწის მილიონობით ადამიანი სოლიდარობას უცხადებს და მხარს უჭერს კონგოს ხალხებს მათ სამართლიან ბრძოლაში დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ელექტრომავალ საშენებელ ქარხნის კოლექტივის მიტინგი წარმოადგენდა თავისუფლების მოყვარე კონგოელ ხალხისადმი საბჭოთა ადამიანების სოლიდარობის მკაცრ დემონსტრაციას.

„კომუნისტის“ სიტყვით, ამ რეზოლუციის ავტორები თავისუფლების მოყვარე ქართველებია, რომელთა მამებმა, ძმებმა და მახლობლებმა სამშობლოსათვის მიძღვნილობის და თავდადების მაღალი მაგალითები მოგვცა და რომლებიც ხრუშჩოვმა, მის მიერ განგვირგვინებული მასწავლებლის ბრძანებით უწყალოო სრისა და მუსრი ადინა. თუ ხრუშჩოვი გულწრფელად იტრფის ეროვნულ თავისუფლებას და რკინის ფარდის გარე მდებარე ქვეყნებს კიდეც ეხმარება და მათ აქეზებს, რა დააშავეს საბჭოთა ჯოჯოხეთში ჩამწყვდეულმა ერებმა,

## თავისუფალ მსოფლიოს გამოცდა.

**როცა ეს ჩვენი წერილი გამოქვეყნდება, ალბათ საგარეო საქმეთა მინისტრთა კონფერენცია ჟენევაში დამთავრებული იქნება სრულიად უშედეგოდ, ან მცირედი კომპრომისით, რაც ვერ დააკმაყოფილებს ვერც აღმოსავლეთს და ვერც დასავლეთს, რადგან გვერდს უვლიან მთავარ სადაო საკითხებს, როგორც ერთი, ისე მეორე მხარე. ძირითადი საცილობელი საკითხი, მხარეთა შორის, არის არა მარტო ბერლინი, არამედ მთლიანად გარმანიის საკითხი. უფრო ზუსტად რომ ვთქვად, ბერლინის პრობლემა—რომელიც ზოგიერთებს უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიად, ვერანაირად ვერ გადაიჭრება დამოუკიდებლად, რადგან ის განპირობებული და დაკავშირებულია თვით გერმანიის პრობლემასთან, მის გაერთიანებასთან.**

**ერთი სარგებლობა მაინც მოიტანა ბერლინის კრიზისმა, მიუხედავათ ხრუშჩოვის განზრახვისა, ის გაფართოვდა და აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპის კრიზისად გადაიქცა. ამ ხნის განმავლობაში გახშირდა მოგზაურობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა აღმოსავლეთ-დასავლეთ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის. ხრუშჩოვის ულტიმატუმის შემდეგ, მრავალი დიპლომატიური ნოტა იქმნა გაგზავნილ-გამოგზავნილი მოლაპარაკების შესამზადებლად და სადაო საკითხების გადასაჭრელად.**

**ხოლო ის რაც ორივე მხრიდან იყო მივიწყებული და მიჩქმალული, რომელსაც ასევე მჭიდრო კავშირი აქვს გერმანიის პრობლემასთან ეს არის პრობლემა ევროპის ორად გათიშვისა და დაპყრობილ, სატელიტ სახელმწიფოების, თავისუფლებას მოკლებული, უპერსპექტივო მდგომარეობა. მიუხედავათ იმისა, რომ ამ სახელმწიფოთა საკითხი არ უნდათ განიხილონ ეს საკითხი არსებობს და მისი გვერდის ავლით ან მიფუჩეჩებით პოზიტიურად ვერ გადაიჭრება ვერც ბერლინის და მით უფრო, ვერც გერმანიის საკითხი. მათ შორის უწყვეტი კავშირია, ის შედეგია მოკავშირეების მეორე მსოფლიო ომის უზავოდ დამთავრების და მათი შემდგომი შეცდომების, რამაც შესაძლებლობა მისცა საბჭოთა კავშირს ამ ტერიტორიების დროებითი ოკუპაცია სამუდამო დომინაციად ექცია.**

**ხრუშჩოვმა ბერლინის სტატუტი, რომელიც დაწესებული იყო გერმანიაზე გამარჯვებულ მოკავშირეების მიერ, თვით საბჭოთა კავშირის მონაწილეობით, ახლა სადაოთ გახადა და ცინიკურად განაცხადა, რომ ბერლინის საკითხი კიბოს სნეულებით არის დაავადებული და მას რადიკალური მკურნალობა ესაჭიროება, ე. ი. მოკავშირეები იქ უკანონოდ არიან მოკალათებულნი და მათი ჯარი იქიდან უნდა გავიდეს.** ის აღმოსავლეთ გერმანიაში მდებარეობს და მას უნდა დაუბრუნდესო. კიბოს სენით არის შეპყრობილი არა მარტო ბერლინი, არამედ მთლიანად გერმანიის საკითხი და კიბოს სისივნეს ერთ ადგილას ამოკვეთა დაავადებულ ორგანოზმს სავსებით ვერ განკურნავს და განწირულია დასაღუპად, თუ მკურნალობა არ შეეხება სნეული სხეულის მთლიანად გაჯანსაღებას.

ხრუშჩოვის საგარეო პოლიტიკა მიმართულია, ბერლინის საკითხის წამოჭრით შესცვალოს მისი იურიდიული სტატუტი. გაერთიანებული გერმანია საბჭოთა იმპერიისათვის საფრთხეს წარმოადგენს,ამიტომ ის არ უნდა გაერთიანდეს და გახდეს ნეიტრალური, დემილიტარიზებული, რაც ხელს შეუწყობს დასავლეთ ევროპის თავდაცვის სისტემის დაშლას; თანაარსებობის და მშვიდობიანობის ქადაგებით უნდა დაიალოს და მოაღუნოს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, სოციალისტებთან ფლირტით და ცრუ დაპირებებით. მაგრამ მაინც მათი დახმარებით ცდილობს დაიპყროს ხელისუფლება ადგილობრივი კომუნისტების მეშვეობით და გზა გაუხსნას მთელს ევროპაში კომუნიზმის დიქტატურას. ნუ თუ ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ არის ყველასათვის გასაგები? ამაოა ყოველივე ცდა, არავის არ შეუძლიან კრემლის გეგმების შეცვლა მოსკოვში მოგზაურობით და ტკბილი საუბარით.

ხრუშჩოვს არ დაუფარავს დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრთან საუბრის დროს, რომ მას სურს აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზატია, როგორც **ის ჩამოყალიბდა მოკავშირეების გამარჯვების** შემდეგ. მაშასადამე, ცხადია ყველასათვის, რომ ამ ჟამად მისი მთავარი მიზანია შეინარჩუნოს ეს მდგომარეობა და განამტკიცოს კოლონიალური იმპერია. თავის მხრივ ბ. მაკმილანმა მოსკოვში ყოფნის დროს განაცხადა, რომ საჭიროა ავიცილოდ ისეთი საზიანო მოქმედება, რომელსაც შეუძლია კიდევ უფრო გაართულოს და შეარყიოს ერთხელ მოპოვებული პოზიცია. ინგლისის პრემიერ მინისტრის ის სიტყვები ისე უნდა გავიგოთ, რომ საერთაშორისო მშვიდობის ინტერესებისათვის და საერთო დაძაბულობის შესანელებლად საჭიროა დასავლეთი დათანხმდეს და დაადასტუროს საბჭოთა კავშირის მიერ აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობა და ხელი არ შეუშალოს ახლანდელი მდგომარეობის გამყარებას. შეიძლება, თუ ეს გულწრფელობაა და არა დიპლომატია, მართლაც ასეთი კომპრომისული საუბრით საერთაშორისო დაძაბულობა დროებით შენელდეს და ამას მსხვერპლად უნდა შეეწიროს აღმოსავლეთ ევროპის ერების თავისუფლება და ისინი სამუდამოთ საბჭოთა კავშირის მონობის უღლის ქვეშ დარჩნენ?

საერთაშორისო დაძაბული მდგომარეობის ასეთი მეთოდით შენელებას ხანგრძლივობა არ უწერია, რადგან ასეთი პოლიტიკური და დიპლომატიური აქცია ხრუშჩოვს კიდევ მეტად წააქეზებს სულ ახალი მოთხოვნილებით წარსდგეს მსოფლიოს სინიდის წინაშე. დაუსრულებლად აწარმოოს ცივი ომი და შეუწყვეტელი მუქარის ქვეშ ამყოფოს თავისუფალი მსოფლიო. არ უნდა დავივიწყოდ, რომ მოკავშირეებმა ომის გათავების შემდეგ, მართალია განსაზღვრული პირობით, მაგრამ მოუფიქრებლად საბჭოთა კავშირს გადასცეს მთელი აღმოსავლეთ ევროპა, მაშინ როდესაც იალტის კონფერენციამ პრეზიდენტ რუზველტის, ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის—ჩერჩილის და სტალინის მონაწილეობით, ზეიმით, საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ერებს სრული უფლება აქვთ ნებაყოფლობით, თავისუფალ დემოკრატიული არჩევნებით დააწესონ საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიური რეჟიმი. 1954 წ. კი პოტომაკის დეკლარაციით, პრეზიდენტ აიზენჰაუერმა

რომ ეროვნული და მოქალაქეობრივი თავისუფლების გამომჟღავნებისათვის უწყალოდ ხოცავს იგივე ხრუშჩოვი?

ნუ თუ უნგრეთის, ან 1956 წ. მარტში ტფილისის აჯანყება სხვა რამ იყო, ვიდრე ეროვნული თავისუფლებისათვის გაბრძოლება და უცხო მონობიდან თავის განთავისუფლების ცდა?

იმავე გაზეთის თებერვლის 22-ს ნომერში ვკითხულობთ, რომ „კამერუნის ხალხი უკვე მრავალი წელია შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და თავისი ქვეყნის ერთიანობის აღდგენისათვის. თავისუფლებისათვის მებროლი ათეული ათასები დახვრეტილი, გადასახლებული და საპყრობილეებშია. ათასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანი საკონცენტრაციო ბანაკებში იტანჯება. აგრძალულია ყოველი პროგრესიული პარტია და ორგანიზაცია. სასტიკი რეპრესიები არ წყდება, მაგრამ იმპერიალისტები ვერ ახერხებენ თავისუფლების მოყვარე კამერუნელი ხალხის დაჩოქებას.“

თავისუფლების ამგვარი ღაღადისი იწერება საქართველოში, ქართულ ენაზე და აწერინებენ იმ ქართველ მამულიშვილების შვილებს და შვილიშვილებს, რომლებსაც, სწორედ ეროვნული თავისუფლებისათვის მისწრაფებების გამომჟღავნებისათვის დააყრევინა თავები რუსულმა ბარბაროსულმა კომუნისტურმა ტირანიამ.

სარკაზმი და ირონია უფრო შორს ველარ წავა!

ქართველი ერის ისტორია ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლის დაუსრულებელი ჯაჭვია და სრულიად ბუნებრივია თუ სხვისა თავისუფლებას პატივისცეს და თავისუფლებისათვის მებრძოლი ერის სიმპატიები ჰქონდეს. ასეთი უნდა იყოს ქართველი ადამიანის ზნე და ბუნება. მაგრამ რა ჰქონდა ქართველ მამულიშვილს უნგრელი პატრიოტის საწინააღმდეგო, როდესაც წითელ ფარაჯაში გადაცმულს ხრუშჩოვის კომისრები მათ აჟლეტინებდნენ? ან უფრო ადრე, რისთვის უნდა ებრძოლა თავისუფლებისთვის ბრძოლის მაღალი ტრადიციის მქონე ქართველს, თავისუფლებისთვის მებრძოლ ფინელების წინააღმდეგ? ან რა ეროვნულ სახელმწიფოებრივი ინტერესი იყო ჰიტლერ-სტალინის მიერ პოლონეთის გაყოფისთვის ქართული სისხლის დაღვრა?

ეს და სხვა მრავალი მსგავსი მაგალითები მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ ქართველი ხალხი, რომელიც გულის სიღრმეში ატარებს თავისუფლებისადმი ბრძოლის ტრფიალს, იძულებულია დამპყრობელებს ღალა გადაუხადოს და დროსა და გარემოების მიხედვით მის ჰანგზე იმღეროს.

ქართველმა ერმა მრავალგზით დაამტკიცა, რომ ის უცხო მპყრობელს არც შერიგებია და არც დამორჩილებია და ზოგიერთ შემთხვევაში მის მიერ გამოვლინებულ კრემლისადმი „ლოიალობას“ თავისუფალი კაცობრიობა სწორედ დააფასებს და რუსული იმპერიალიზმის დამხობის მომენტში, თავისუფლების მოყვარული ქვეყნიერების სიმპატია და თანაგრძნობა ქართული მებრძოლი ნაციონალიზმის მხარეზე ქნება.

**დ. ახვლედიანი.**

## ტფილისის 1500 წლის თავი.

**(გადაცემული მიუნხენის რადიო „განთავისუფლების“ მიერ).**

**დიდებული აქტია ტფილისის 1500 წლის** თავის აღნიშვნა. ამ უძველესი დედა ქალაქის ღვაწლისა და დიადი ისტორიული მისიის აღნიშვნა. მრავალწამებული ქალაქია ტფილისი იგი 26-ჯერ იყო გადაბუგული მტრის ხელით. 26-ჯერ აღსდგა ფერფლისაგან, როგორც ფენიქსი. ქართული სული დასტრიალებდა მის ფერფლს, ქართული სული უძღოდა მის აღორძინებას. ქართული სულით არის იგი ასე უდრეკი და ამაყი. უკანასკნელად საჭურისმა აღა მაჰმად ხანმა მოსდო მას ცეცხლის ალმური. 1795 წელს ამ აბირბილებულ ალში ვინ უწყის რამდენი საუნჯენი დავკარგეთ ჩვენა“.

თბილისი ქართული ეროვნული კულტურის ნაშობია და თან ამ ეროვნული კულტურის შემომქმედი და მეთაურია. კიდევ მეტიც ითქმის: იგია სიმბოლო და დაგვირგვინება ქართველი ერის სახელმწიფოებრივი თვითარსებობის თავი, აზრი და გონება ერის. წინამძღოლი მის ჭირსა და ლხინში. მისი დაცემა—ერის, მისი სახელმწიფოს დაცემაა. მისი აღდგენა—ერის განახლება, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განახლებაა.

სხვა ქალაქებიც არის საქართველოში, სადაც სახელმწიფოებრივი მაჯის ცემა ისახებოდა, სადაც ქართველი ერი თავის ერთობლიობის გაჭედვას ცდილობდა. ძველი მცხეთა, ქუთაისი, არტანუჯი, ბიჭვინთა და სხვა. მაგრამ აბა ჰკითხედ ქართველ ხალხს? ყველა ისინი მისთვის გზა იყო თბილისისაკენ. იგინი დროებთ იყვნენ მეფეთა და მთავართა სამყოფლად. ასე ესმოდათ თვით მეფეებს, ასე ესმო და მთელ ქართველ ხალხს. ქართველობა თავის თავს არ თვლიდა სრულუფლებიანად სრულ-ყოფილად, თუ თბილისში არ ჰქონდა თავი.

თბილისი გულია ქართველი ერის, მისი მაჯის ცემის გამომსახველი. ჩვენ გვიყვარს იგი მთელი ჩვენი არსებით. მისი ჩვენ ყველაფერი გვხიბლავს: მეტეხიც და ავლაბარიც, დიდუბეც და სოლოლაკიც, მამადავითის მთაც და ნაძალადევიც. მტკვარის დუდუნიც და კოჯორის ნიავიც. მისი მცხუნვარე მზეც და მშრალი ყინვებიც.

ჩვენ გვიყვარს თბილისი მეტად, ვინემ ჩვენი თავი. მეტად ვინემ დედა, მეტად ვინემ სატრფო. ჩვენ გვინდა მის გულთან გვედვას თავი, მის მიწაზე ვიაროთ, მის მიწაში ჩავდვათ ჩვენი ძვლები.

ასეთია ჩვენთვის თბილისი! ასეთია ის ყოველი ქართველისათვის!

ის ათასხუთასი წლისაა! დაე, ისტორიკოსებმა წერონ მისი თავგადასავალი! დაე, მეცნიერებმა შექმნან მისი წარსულის სახე! ქართველი მეცნიერები და სწავლულები ამ რთულ ამოცანას ბრწყინვალედ და ღირსეულად შეასრულებენ.

ჩვენ, პოლიტიკურ მუშაკებს, მათთან ერთად მისი მომავლის პერსპექტივები გვაინტერესებს. ჩვენ ვიბრძვით და ვიბრძოლებთ მისი ბედნიერებისათვის, მისი აყვავებისათვის, მისი თავისუფალი მესაჭეობისათვის. ჩვენ არ გვინდა იქ ვინმეს ედგას მეთაურობის ტახტი. გარდა საქართველოს ერთგული შვილების. ჩვენ არ გვინდა ვინმე გარეშე, ან გარაშედან მოვლენილი ეპატრონოს მის ბრწყინვალე იუბილეს. თბილისი— საქართველოს დამოუკიდებლობის ემბლემაა: მას უყვარს მეგობრები იგი პატივისცემით ეპყრობა ყოველ ერს, მახლობელს და შორეულს. ყველას რაინდული ხელგაშლილობით მიიღებს. მაგრამ იგი უნდა იყოს თავის თავის პატრონი. მას აქვს ამისათვის ყველა თვისება. ნუ დაიჩაგრება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი პატარა ერს ეკუთვნის. მით უფრო ბრწყინვალეა მისი შარავანდედი, რომ იგი პატარა ერს ეკუთვნის. იგი ღირსია იყოს თავისუფალი დედაქალაქი თავისუფალ საქართველოსი!

## ამერიკული პრესის მიმოხილვა.

ამერიკაში ყველაზე უფრო გავრცელებული და სერიოზულად მიჩნეული გაზეთი „ნიუ იორკ ტაიმსი“ ეხება რა საბჭოთა მუქარით გამოწვეულ ბერლინის კრიზის, აღნიშნავს, რომ ქალაქი ცხოვრობს დაუსრულებელ შიშში, რომელიც იმავე დროს სავსეა თავისუფლების გაგრძელების იმედით. „ბერლინი გრძნობს, რომ იგი დაცულია ერთი საშიშროებიდან მეორემდე და თვით ისეთი დიდი საშიშროების შემთხვევაშიც, როგორიცაა ტოტალიტარული ომი... ამავე დროს მათ იციან, რომ მათი ბედი მათ გარეშე უნდა გადაწყდეს და ისენი შერიგებულნი არიან ამ მდგომარეობას. ბერლინელები ენდობიან თავიანთ მეგობრებს, რომ საბედისწერო მომენტში მას არ მიატოვებენ და ამიტომ გულმშვიდათ ხვდებიან ყოველ მოვლენას. მოვლენების შეცვლა მათ ძალას აღემატება. ამიტომ მათ განკარგულიბაში რჩება მხოლოდ, ილოცონ უკეთესი მომავლისათვის“.

ბერლინი თავისმა ლიდერებმა დაარწმუნა,, რომ მას შეუძლია მშვიდათ ეძინოს. ლიდერების გრძნობებით გართული ხალხი დარწმუნებულია, რომ არც საკუთარი ლიდერები წავლენ დათმობაზე და არც დასავლეთს შეუძლიან სერიოზული დათმობა.

დასავლეთ ბერლინის მოსახლეობას მხოლოდ ის აწუხებს, ვაი თუ მდგომარეობა არმივიჩნიოდ საკმარისად სერიოზულად...

ვიდრე მოსკოვს ეშინია, რომ ბერლინის „სტატუს კვოს“ დარღვევას მოჰყვება ომი, იქამდე დასავლეთ ბერლინი უშიშროებაშია“

**„დი კრისტიან საიანს მონიტორი-ს აზრით,** პრეზიდენტ აიზენჰაუერის სავაჭრო პალატაში გამოსვლა ცდა იყო, რათა დაერწმუნებინა კონსერვატიული შეხედულება, რომ მისი ეკონომიური დახმარების სისტემა, რომლითაც ხელს უწყობს და აძლიერებს ახალ და სუსტ სახელმწიფოებს, რათა ისინი არ გახდნენ კომუნიზმის აღვირახსნილი იმპერიალიზმის მსხვერპლნი, ამავე დროს შეერთებული შტატების სასიცოცხლო ინტერესების დაზღვევაა.

„ამავე დროს უნდა გავიხსენოდ, რომ ეს არ ის არა მარტო ჩვენი სასიცოცხლო ინტერესების დაზღვევა, არამედ ჩვენი თავისუფალი ინიციატივის პრინციპის დაზღვევა და შენარჩუნება. ამ პრინციპის უპრატესობისათვის საკმარისია გავიხსენოდ კ. მარქსის უდიდესი შეცდომა, როდესაც ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმის განვითარება უფრო გაამდიდრებს მდიდრებს და შეამცირებს მათ რიცხვს და გაალარიბებს ღარიბებს და ამრავლებს მათ რიცხვსაო. დღეს ყველასათვის ნათელია, რომ კაპიტალიზმი განვითარდა სულ სხვა მიმართულებით, ვიდრე ეს მარქს წარმოედგინა და მან თავისი ეკონომიური დოქტრინა წინასწარ მცდარ საფუძველზე დააშენა.

კაპიტალისტურმა სისტემამ მუშებს მოუტა არა დამონება და სიღატაკე, როგორც მარქსმა იწინასწარმეტყველა, არამედ ახალ-ახალმა აღმოჩენებმა და მათმა განვითარებამ, მუშათა კლას მისცა ისეთი ცხოვრების შესაძლებლობა, რომელსაც მარქსი თავის კომუნისტურ დოქტრინაში მდიდრებისთვისაც ვერ ითვალისწინებდა. თუ მარქსმა სწორედ იწინასწარმეტყველა, რომ კაპიტალიზმი ამრავლესიღარიბეს, მაშინ შეერთებულ შტატებში მეტი სიღარიბე და ღარიბები უნდა იყვნენ, ვიდრე საბჭოთა კავშირში.

ამ მოვლენაში ორივეა მოცემული: გაკვეთილიც და გაფრთხილებაც. ჩვენი თავისუფალი ეკონომიის გაზრდის და გაძლიერების მიზეზი სწორედ ის არის, რომ მისი ნაყოფი ფართოდ იყოფა მოსახლეობაზე და თანახმად მარქსის მტკიცებისა, ის არ იქცა ვიწრო წრის საკუთრებად.

დღევანდელი ცხოვრების ამოცანაა: ხალხი აღსდგეს, ამოძრავდეს და არ დაემორჩილოს

---

და ინგლისის პრემიერ მინისტრმა—ჩერჩილმა საჯაროთ აიღეს ვალდებულება თავიანთი ქვეყნების სახელით, რომ ისენი არასდროს არ მიიღებენ მონაწილეობას ისეთი შეთანხმების, თუ ხელშეკრულების დადებაში, რომელიც დაამტკიცებს ან გაახანგრძლივებს აღმოსავლეთ ევროპის ერებზე მათ უნებურად, ძალით თავზე მოხვეულ საბჭოთა წყობილებას იმავე ხანებში მსოფლიო საზოგადოებრივმა აზრმა და პრესამ მხარი დაუჭირა და უარყო რაიმე ხელშეკრულების და თავდაუსხმელობის პაკტის დადება საბჭოთა კავშირთან, თუ წინასწარ არ იქნებოდა გადაწყვეტილი გერმანიის გაერთიანების საკითხი და მასთან ერთად არ იქნებოდა გამორკვეული აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ერების პოლიტიკური ბედი.

მიუხედავათ ამ პრეცედენტებისა დასავლეთის ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე, რომ ხრუშჩოვს ასიამოვნოს, საუბრის დროს აგრძნობინებენ, რომ მათ აღარ აინტერესებთ დაპყრობილ ერთა ბედი. ასევე, როგორც სჩანს, უფრო შორს მიდიან და მზად არიან სრულიად ახალი ვითარება დაამყარონ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, რომელსაც საფუძვლად დაედება ახლანდელი სტატუს ქვო. მათი განზრახვაა ჟენევის კონფერენციაზე მოიწვიონ აღმოსავლეთ გერმანიის, პოლონეთის, და ჩეხოსლოვაკიის მთავრობათა წარმომადგენლები მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებათ და თუ მოახერხეს დასდვან მათთან კოლექტიური პაკტი მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად, რაც უდაოდ მოასწავებს საბჭოთა კავშირის მიერ მიტაცებული ტერიტორიების ხელყოფას და უდრის მის დადასტურებას და ლეგალიზაციას. ხოლო ასეთი პაქტების დადება, ყოველგვარი გარანტიების გარეშე, იქნებოდა წინათ აღებული მორალური და იურიდიული ვალდებულებათა უარყოფა. აღმოსავლეთ ევროპის ერები თანახმა იქნებიან მოლაპარაკებისა მხოლოდ იმ პირობით, თუ მათი საკითხი განხილული იქნება აღებულ ვალდებულების მიხედვით, მათი პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლის მიზნით. ისენიც მომხარე იქნებიან მოქნილი დიპლომატიისა, თუ ეს მათ მცირეოდენ შეღავათს მისცემს, ხოლო ეს ვერ იქნება გამართლებული თუ მათი მდგომარეობა ამით უფრო გაუარესდება და გაჯახირდება.. რაც შეეხება აღებულ ვალდებულებათა თავიდან მოშორებას, ე. ი. საოკუპაციო ჯარების თანდათან გამოყვანა, საერთო განიარაღების დაჩქარების შესაძლებლვბას იძლევა, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ რომ შეიარაღებას კი არ შეუქმნია საერთო დაძაბულობა, არამედ დაძაბულობის შედეგია შეიარაღება და ეს საკითხს ვერა სწყვეტავს. დაძაბულობის მიზეზი მეტ წილად პოლიტიკური ხასიათისაა და არა მილიტარული. თუ კი სამართლიანად გადაიჭრება სადაო პოლიტიკური საკითხები, განიარაღებაზე შეთანხმება უფრო იოლი იქნება. ჩვენ გვეუბნებიან: დაძაბულობა საგრძნობლად შენელდება თუ შევძლებთ დემილიტარიზებულ ზონების შექმნას და გერმანიასა, პოლონეთში და ჩეხოსლოვაკიაში საოკუპაციო ჯარების რაოდენობას შევამცირებთ, მაგრამ აქ მხედველობაშია მისაღები, რომ ჩეხოსლოვაკიაში და სხვა სატელიტ სახელმწიფოებში ამ ჟამად, თუ გაზეთების ინფორმაციას დაუჯერებთ, საბჭოთა ჯარების ნაწილები მცირეა, გარდა ზოგიერთი პუნქტისა, რომლის დანიშნულებაა სამხედრო ბაზების და ურანიუმის მადნების დაცვა. რა თქმა უნდა, მოსკოვისათვის ძნელი არ იქნება იქიდან ჯარის გამოყვანის წინადადების მიღება. ბულგარიაში, რუმინეთში და ალბანეთში ჯარის სულ უმნიშვნელო რაოდენობაა. მიუხედავათ ამისა, არც ამ სახელმწიფოების მდგომარეობაა სახარბიელო, ვიდრე იმ ქვეყნების, სადაც რუსის ჯარი მრავალრიცხოვნად არის, რადგან მათ საზღვრებთან ახლო მდგომი წითელი დივიზიები და ავიაცია შემოსევის და რეპრესიების მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს, თუ ისენი ურჩობას გაბედავენ. ჯერჯერობით რუსეთი იქ მკაცრი პარტიული და პოლიტიკური კონტროლით კმაყოფილდება.

ამიტომ ნათელია, მარტო საოკუპაციო ჯარის გამოყვანით, ან განსაზღვრული მანძილით უკან დახევით, დასავლეთ სახელმწიფოების გარანტიის გარეშე, რომლითაც უზრუნველყოფილი არ იქნება ამ ქვეყნებზე კვლავ თავდასხმა, ან უბრალო საბჭოთა არმიის უკან დაბრუნება სხვა და სხვა მიზეზებით, ვერ გადაიჭრება ამ ერების პოლიტიკური საკითხი. არც ეს გარანტია იქნება საკმარისი არსებული რეჟიმის შეუცვლელად, რაც უნდა მოხდეს თავისუფალი დემოკრატიული არჩევნებით. ხოლო პირველ ხანებში საოკუპაციო ჯარების გამოყვანა სასურველი იქნება, ვინაიდან არავის აღარ სურს თავის მიწა-წყალზე ხედავდეს უცხო შეიარაღებულ ძალებს.

ჩვენი ღრმა რწმენაა, არავითარ შემთხვევაში არ არის შესაძლებელი საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, თუ საბოლოოდ არ გამორკვა დაპყრობილ ერების ბედი და მათ არ აღიდგინეს თავისუფალი, დამოუკიდებელი ცხოვრება. დასავლეთის სახელმწიფოები თუ მაინც შეეცდებიან ხრუშჩოვის პრეტენზიების დაკმაყოფილებას და მასთან შეთანხმდებიან ბერლინის სტატუტის შეცვლით, ამ აქტიდ ოფიციალურად იქნება ცნობილი აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობა. ამავე აქტიდ ცნობილი და ნებადართული იქნება ევროპის შუა გულში საბჭოთა კავშირის თავაშვებული იმპერიალისტური კოლონიალიზმი. ამავე აქტიდ ეს იქნება მილიონობით ხალხს ყოველგვარი იმედი მოუსპოდ, რომ მომავლისთვის შეიქმნება აღმოსავლეთ ევროპაში ახალი გარემოება, ახალი სტატუტი, რომელიც შესაბამისი იქნება ხალხთა უფლებისა, რომელიც გულისხმობს განაგონ თავიანთი ეროვნულ პოლიტიკური ცხოვრება ისე როგორც ეს მათ სურთ

აგრეთვე ჩვენი ვალია მოვაგონოთ თავისუფალ მსოფლიოს და უწინარეს ყოვლისა იმ საერთაშორისო კონფერენციებს, რომლის მიზანია საერთო მშვიდობიანობის დამყარება, რომ საბჭოთა იმპერიაში მომწყვდეულია ძალით დაპყრობილი მრავალი ერი, რომელნიც ხან ფარულად და ხან აშკარად იბრძვიან დაკარგულ ეროვნულ თავისუფლების მოსაპოვებლად და როცა საერთო მშვიდობიანობაზე ლაპარაკობენ, მათი კანონიერი მისწრაფებებიც უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული და მათი თავისუფალი სახელმწიფოებრიობის აღდგენა მშვიდობიანობის განუყრელი ნაწილია.

**ს. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიღარიბეს და სილატაკეს.

განვითარებულ, თავისუფალ ეკონომიურ პრინციპზე დაყრდნობილ ქვეყნებს, საკუთარი ინტერესების გამოც, არ შეუძლიათ ჩამორჩენილი და ღარიბი ქვეყნები დასტოვონ ღარიბად, როცა ინდუსტრიალური ქვეყნები უფრო ვითარდებიან და მდიდრდებიან. ამისათვის კი საჭიროა განათლება, რათა მასებმა ისწავლონ კაპიტალის დაბანდება, მისი გამოყენება და ბუნებრივი წყაროების ექსპლოტაცია.

შეუძლებელია თვალი დავხუჭოთ იმ სინამდვილეზე რომ კაპიტალიზმი გაებმებოდა ბუნებრივ მახეში (და მარქსის წინასწარმეტყველება აღსრულდებოდა, რომ მას თავისი ნაყოფი არ გაენაწილებინა ფართო მასებისათვის. ასევე ინდუსტრილური დემოკრატია ვერ ასცდება, ვერ გაექცევა მსოფლიო ხაფანგს, თუ მან ღარიბი ქვეყნები უყურადღებოთ დასტოვა, როცა მდიდარი და დაწინაურებული ქვეყნები უფრო მდიდრდებიან.

ობიექტიური ეკონომიური დახმარების პროგრამა წარმოადგენს ამის თავიდან აცილების საუალებას. მაშასადამე, კაპიტალიზმის განვითარების ნორმალურ გზას.

**„ვოლ სტრიტ ჟურნალი“ თავის აპრილის** 30-ის ნომერში ეხება საბჭოთა საჯაშუშო და მეხუთე კოლონის მუშაობას და დასძენს: არ არსებობს არავითარი ნიშანი, თითქოს საბჭოთა ლიდერები კარგავენ ინტერეს იმ ხელსაწყოზე, რომელსაც „სუბვერსიონს“ ეძახიან და ნიშნავს გადატრიალებას. პირიქიდ, ამ წლის დასაწყის მომხდარ პარტიის ყრილობაზე, ხრუშჩოვმა თავის ქვეშევრდომების ყურადღება სწორედ ამას მიაქცია.

ამ ყრილობაზე უცხოელ კომუნისტების მრავლად დასწრება და იქ მათი მოქმედება ნათელსა ჰფენს კომუნიზმის ინტერნაციონალური მოქმედების სტრატეგიას და ტაქტიკას.

ამგვარად, კუბის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა სეკერო აზვირომ ყრილობაზე განაცხადა, რომ კუბის კომუნისტურ პარტიას ებრძანა დაეხმაროს და გაამაგროს კასტრო და მისი მიმდევრობა.

ვენეცუელას კომუნისტების ლიდერი აცხადებს, რომ 1958 წლის არჩევნებში მათ მიიღეს 6.6 პროცენტი ამომრჩევლების ხმები.

ურაგვაის წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ იქ გაძლიერდა ახალგაზრდა კომუნისტების მოძრაობა.

ჩილე აცხადებს, რომ 11 წლის არალეგალური მდგომარეობის შემდეგ, მათ მიიღეს ლეგალური არსებობის უფლება და 6 დეპუტატი გაიყვანეს.

ირაქელი კომუნისტი სალემ ადილ აცხადებს, რომ ისენი მხარ და მხარ იბრძოლებენ ირაქის პატრიოტულ ნაციონალურ ჯართან და მამაც ირაქელ ხალხის შვილთან აბელ კარლიმ კარემთან ერთადო.

გაზეთის აზრით რუსულ კომუნისტურ პარტიის ყრილობაზე, თითქმის, ყველა ქვეყნების კომუნისტური პარტიების წარმომადგენლების აქტიობა და მათ მიერ თავიანთი მოქმედების ანგარიშის წარდგენა ამჟღავნებს, კომუნიზმის ინტერნაციონალურ მოვლენად ქცევას, რომლის წამყვანი, მეთაური და მბრძანებელი რუსეთია. ცხადია, საიდუმლოებით არის მოცული ის ფინანსიურ-ტექნიკური დახმარება, რომელსაც რუსეთი თავის მონა მორჩილ უცხო კომუნისტურ პარტიებს უწევს.

ამავე დროს ცნობილია, რომ კომუნიზმი ყოველთვის იყო დრეკადი თავისი სტრატეგიით ხოლო მტკიცე და უდრეკი იყო და არის მისი საბოლოო მიზანი: მსოფლიოს დაპყრობა და მსოფლიოში გაბატონება.

მრავალჯერ იყო ცდა, რომ მსოფლიოში მშვიდობიანობის დასაზღვევად დიდ სახელმწიფოების მეთაურების შეხვედრის და მათი მორიგების. ალბად ეს მრავალჯერ კვლავ იქნება განმეორებული. ამის ავტორები ფიქრობენ, რომ მსოფლიო მშვიდობიანობის განმტკიცება შესაძლებელია იმ საზღვრების დაცვით რომელიც ჰყოფს კომუნისტ და არა კომუნისტ ქვეყნებს ამ ჟამად და მათი კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიების —ხელის არ ხლების“ პოლიტიკიდ. ამის ავტორებს ავიწყდებათ, რომ ეს იქნება ხრუშჩოვის იმპერიის კანონიერად ცნობა, რაც მის დიპლომატიის მიზანს წარმოადგენს და მხედველობიდან უშვებენ, რომ კომუნისტებთან თანამშრომლობის პოლიტიკის პატიოსნად ნდობა უდიდესი მიამიტობა იქნება, მეტი რომ არა ვთქვად, რადგან ამის შემდეგაც მათ განკარგულებაში რჩება საჯაშუშო და მეხუთე კოლონები, რომლებიც კომუნიზმის ბუნებაშია ჩაქსოვილი და რომელიც საბჭოთა იმპერიის თავისუფალ დემოკრატიასთან ბრძოლის მთავარი იარაღია..

ჩვენი თანამემამულე გიორგი (ჯამლეტ) გვაზავა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ დეკემბრის 23ის ნომერში ეხება ამავე გაზეთში გამოქვეყნებულ ჯორჯ კენანის წერილს და სწერს: „ჯორჯ კენანი მოგვიწოდებს „მზათ ვიყოთ ნამდვილი კომპრომისისათვის“. მაგრამ ის ვერ ითვალისწნებს, რომ ასეთ მოწოდებით ის კრემლის „ბლეფს“ რეალურ წონის საგნად ხდის.

ხრუშჩოვი საკმაოდ ჭკვიანია, რომ მან რუსეთი საერთაშორისო კონფლიქტში არ ჩახლართოს. მას ეშინიან არა მარტო მისგან დამონებულ არა რუს ერების აჯანყებისა, არამედ ის მისდევს ლენინის ანდერძს: დაანაწილე და მართე, რაც ისეთ წყობილებას ნიშნავს, სადაც პიროვნება და სახელმწიფო ერთი მეორეს ექიშპება—უთანასწოროდ იყოფა ქონება, დევნილია რელიგია და სხვა.

რა განზრახვით? მართლა მსოფლიო კომუნიზმია მიზანი? ჩვენ რომ ყველა ჩვენი ინსტიტუციები კომუნისტურ სისტემაზე გადავიყვანოდ, კრემლი მაინც ომის გამჩაღებლებად მოგვნათლავს, ვიდრე ჩვენ მას არ დავემონებით.

ინტერნაციონალური კომუნიზმი მხოლოდ ნილაბია, რის უკანაც იმალება რუსული ავადმყოფური იმპერიალიზმი.

ჩვენი მოვალეობაა აუხსნად ფანატიკოსებს, რომ ინტერნაციონალური კომუნიზმის გეგმა სისულელე და აფსურდია. ის მხოლოდ „ინფერიორ კომპლექსის“ მაჩვენებელია და განწირულია, როგორც ყოვლი ჯურის ნაციზმი.

რუსეთის „დიალექტური“ მექანიზმი უკრძალავს მას მსოფლიოს დასაპყრობად ომი ატეხოს, მან ეს სიტყვიერად, პროპაგანდით უნდა მოახერხოს და კენანს არ უნდა ეშინოდეს იმისი, რაც მან იმათში ჰპოვა: როგორც თითონვე სწერს, რომ რუსეთის „საშოში რაღაცაა რაც განსხვავდება ყოველივესგან, რომელსაც ჩვენ წარსულში ვიცნობდით“.

## საბჭოთა სამოთხეში.

(იქაური პრესის მიხედვით)

„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“, ასე ზუსტათ არავის არ გაუმართლებია ეს ქართული ანდაზა, როგორც მას ამართლებს ხრუშჩოვი და მისი პრესა. საბჭოთა ჟურნალ გაზეთების ერთი და იგივე ნომერში ვხვდებით ხრუშჩოვის ზერელე საპროპაგანდო განცხადებებს, რომ მან ზოგ დარგში უკვე გადაასწრო ამერიკას და დანარჩენშიც მომავალ შვიდ წლედის გეგმით გაუსწრებს. ხოლო თვით კომუნისტური პრესა ამტკიცებს, რომ საქმე გვაქვს ხრუშჩოვის ჩვეულებრივ ტრაბახთან და სინამდვილეში არაფერი გამოცვლილა. საბჭოთა მოქალაქე კვლავ განიცდის სოციალისტურ, მარქსისტულ შიმშილსა და სილატაკეს. ეს გარემოება კი საბჭოთა ადამიანს აიძულებს გააძლიეროს ხალტურა, რაც უბრალო ენით ქურდობაა საბჭოთა რეჟიმი ებრძვის ქურდობას, ე. ი. ხალტურას. მისი ბრძოლა გამოიხატება იმაში რომ ის ქურდს დასჯის, დახვრეტავს, ან იძულებითი შრომის ბანაკში ჩაამწყვდევს, მაგრამ ეს გარემოებას არა შველის და ერთი დასჯილის ადგილს მეორე იჭერს, რომლის ბედი პირველის მსგავსია.

საბჭოთა რეჟიმი არასოდეს არ ჩაფიქრებია ხალტურის გამომწვევ მიზეზებს და არავითარი ზომები არ მიუღია, რომ თავის მოქალაქის მოთხოვნილება იმდენათ დააკმაყოფილოს, რომ თავისი უსისტემო სისტემით თვით უპატიოსნესი მოქალაქეც კი ქურდათ არ აქციოს.

რათა ხრუშჩოვის ტრაბახს ფარდა ავხადოთ და მის მიერ დაბეჩავებულ მოქალაქის სილატაკე ნათელვყოთ, რაც ამავე დროს ამტკიცებს, რომ ის ამერიკის დაწევიდან ძალიან შორსა დგა, ამისათვის თვალი გადავავლოთ საბჭოთა პრესას.

გაზ. „კომუნისტის“ 17 თებერვლის ნომერში ვკითხულობთ: „საჩხერის რაიონის სოფელ ჭალოვანის მაღაზიაში არ არის პირველი მოთხოვნილების საგნები და მოსახლეობას ძალიან შორი მანძილიდან უხდება მათი მოტანა. როცა ამის გამო მომხმარებლები საყვედურს გამოსთქვამენ, მაღაზიის გამგე, გამყიდველი უპასუხებს: რა ვქნა რაიკოპერატივმა საქონელი არ შემოზიდა და მე რას ვიზამო...

„კომუნისტი“ 14 თებერვალი. „ქუთაისის სამრეწველო და სასურთათო მაღაზიებში ხშირია ვაჭრობის წესების დარღვევის შემთხვევები. ზოგიერთი გამყიდველი ზომა წონაში ატყუებს მომხმარებელს. მალავს და ზედმეტ ფასებში ყიდის დეფიციტურ საქონელს“.

„კომუნისტი“ 3 თებერვალი. „გასულ წელს უხარისხოდ იქმნა შედგენილი ანგარიშები თიანეთის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში. ამის გამო წლიურ ანგარიშებში არა სწორი ციფრები იქნა შეტანილი. მაგალითად, სოფელ მარგანეთის კოლმეურნეობის წლიურ ანგარიშში ნაჩვენები იყო 317600 მანეთის საწარმოო ხარჯები, სინამდვილეში კი ეს ხარჯები 235000 შეადგენდა, მანქანებისა და ინვენტარის შეძენაზე ნაჩვენები იყო 55200 მანეთის ნაცვლად 97100

## სხვა და სხვა.

### ხრუშჩოვის მუქარის წინა დღე.

გასული ნოემბრის 27-ს ხრუშჩოვმა პათეთიურად განაცხადა. რომ ექვსი თვის შემდეგ. სწორედ მაისის 27-ს დასავლეთელებმა უნდა დასტოვონ ბერლინი და ქალაქი მის კანონიერ მემკვიდრე აღმოსავლეთ გერმანიის „სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას ჩააბარონო“

დასავლეთელებმა ამ მუქარას მტკიცე გარდაწყვეტილებით უპასუხეს, რამაც ხრუშჩოვის მუქარა ლაზღანდარას ტრაბახათ აქცია.

თვით დასავლეთ ბერლინის მოსახლეობა ხრუშჩოვის მუქარას გულცივად შეხვდა და მაისის 26-ს პრესის საერთაშორისო ინსტიტუტის მერვე ყრილობაზე ვ. ბრანტმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ხვალ, ე. ი. მაისის 27-დი. ისეთივე მშვიდი დღე იქნება.როგორც ყველა მისი წინამდებარეო. დას. ბერლინის მოსახლეობას და მის ლიდერებს ეტყობა კარგად შეუსწავლიად ხრუშჩოვის ბუნება, რომელსაც ყველაზე უკეთა აქვს ეთვისებული „სადაც არა სჯობს გაცლა სჯობსო“

მართლაც საბჭოთა რუსეთის ყოველი მუქარა უნიადაგო და პიტალო სიტყვა აღმოჩნდა ყველგან, სადაც კი დასავლეთის თავისუფალმა ქვეყნებმა მას მტკიცე ნებისყოფა დაუპირდაპირეს. ხრუშჩოვის ტაქტიკაა: ან მუქარით და ტრაბახით გაიტანოს, ან ლაზღანდარულად უკან დაიხიოს. ეს კარგად შეუმცვნია ვილი ბრანტს და მის სექტორში მცხოვრებ მოსახლეობას და ამიტომ წინდაწინ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მაისის 27-დი იქნებოდა „ჩვეულებრივი მშვიდი დღე“.

ვისურვოთ, რომ ეს ასევე კარგად შეიმცნოს დასავლეთის „სამმა დიდმა“ და მათ შორის დიდი ბრიტანეთის ორთა შორის მოთამაშე დიპლიმატიამ.

### ხრუშჩოვი ყველგან.

კრემლის ოფიციალურ ორგანო „იზვესტიას“ ხელმძღვანელობაში მოხდა რადიკალური ცვლილებები. ეტყობა ხრუშჩოვი ცდილობს დაეუფლოს საბჭოთა კავშირის ცხოვრების ყოველ დარგს, თავისი უახლოესი ნათესავ მეგობრების მაღალ თანამდებობებზე დანიშვნით სხვაგვარად ვერ აიხსნება, რომ „იზვასტიას“ რედაქტორად დაინიშნა მისი სიძე ალ. აგიუბეი

### ნასერის რეაქცია

როგორც ვიცით, ირაქის ნასერისადმი პირის ბრუნებამ და მის რუსულ კომუნიზმთან შეულებამ ნასერის გულისწყრომა გამოიწვია

გასულ დეკემბერში ნასერმა მტვრად აქცია ეგვიპტური კომუნისტური პარტია და ფილო კომუნისტური ორგანიზაციები და მათი გამოჩენილი მოღვაწენი ციხეში ჩაყარა. მაისის 24-ის კაიროს გაზეთები იუწყებიან, რომ მათი საქმე სპეციალურ სასამართლოში გაირჩევა.

ვისურვოთ, რომ ეს იყოს არაბული ქვეყნების რუსეთიდან განქორწინების დასაწყისი.

### ამერიკის შ. შტატების ქართულ სათვისტომოში

კვირას, ივნისის 7-ს, ქართული სათვისტომოს გამგეობამ სასტუმრო რუზველტის მედისონის ოთახში გადაიხადა საქართველოს დამოუკიდებლობის 41-თე წლის თავი.

დარბაზი მორთული იყო ქართული ეროვნული და ამერიკული დროშებით.

გამგეობის სახელით კრება გახსნა ბ ნ ლ დუმბაძემ. მილოცვის შემდეგ სიტყვა მისცა სათვისტომოს თავმდომარე დოკ. ო. ზალდასტანიშვილს, რომელიც ვრცლად შეეხო 2 მაისის მნიშვნელობას და მისგან გამოწვეულ ჩვენს ვალდებულებებს. (ბატ. ზალდასტანიშვილის მოხსენება დაიბეჭდება მომავალ ნომერში. რედ.) ქართულ ენაზე სიტყვა წარმოსთქვა ბატონ ალექსი ჩხენკელმა.

სტუმრებიდან აღსანიშნავია უნგრეთის მებრძოლ ორგანიზაციების წარმომადგენელი ტიბორ ეკჰარტი, რომელმაც ხაზი გაუსვა ერთ ბედში ყოფნას და საერთო მტრის ყოლას და რუსეთის მიერ დამონებულ ერებს მოუწოდა „გაერთიანებული ძალებით ვებრძოლოთ რუსულ იმპერიალიზმსო“

უკრაინული კონგრესის ხელმძღვანელმა პროფ. დობრიანსკიმ მოკლე ანალიზი გაუკეთა საერთაშორისო მდგომარეობას, დასავლეთის და კერძოთ შეერთებული შტატების პოზიციას და დაასკვნა, რომ „კაცობრიობა მიდის თავისუფლებისაკენ და რუსული კომუნიზმის მიერ ტყვედ ქმნილი ერები იმედით უნდა უყურებდნენ თავის მომავალსო“.

დასასრულს სათვისტომოს გაგეობა კოკტეილით გაუმასპინძლდა სტუმრებს.

### საინტერესო შემთხვევა.

ახალგაზრდა მეცნიერი არტურ კვიპერი მეორე მსოფლიო ომის დროს გასცნობია ქართველებს იქ მყოფ ქართული ლეგიონის საშუალებით. მას შემდეგ გაღვიძებია ინტერესი ქართულ-კავკასიური ხალხისადმი და, როგორც ენათ მეცნიერს შეუსწავლია მათი ენები

ახალგაზრდა მეცნიერმა თავისი პირველი შრომა „ჩრდილო აღმოსავლეთ კავკასიის ენები“ გამოსცა 1955 წ. ამსტერდამში. ამ ჟამად კი დღის სინათლე იხილა მისმა სერიოზულმა შრომამ „კავკასიის ხალხი და მათი ენები“. წიგნი შეიცავს 77 გვ. და თანდართული აქვს კავკასიის რუკა.

ბ-ნი არ. კვიპერი მოკლე ხანში დაასრულებს ქართულ ინგლისურ გრამატიკას და ენერგიულად მუშაობს ქართული კათედრის გასახსნელად კოლუმბიის უნივერსიტეტში, რითაც ენათ მეცნიერი კვიპერი იმსახურებს მთელი ქართული საზოგადოების მადლობას.

## კავკასიური პოლიტიკის მცდარი გზა.

(დასაწყისი იხ. „ქ. აზრი“-ს 32 ნომერი.)

კავკასიის კონფედერაციის იდეა მაშინ დაიბადა და წარმოიშვა, როდესაც მოდაში იყო ინტერნაციონალური იდეები და ამის მამამთავრები, შეიძლება სრულიად შეუგნებლად და შეუმცნობლად, ცდილობდნენ კავკასია გადაექციათ ერთგვარ მცირე ინტერნაციონალურ კუთხედ, სადაც უნდა გაბატონებულიყო ინტერნაციონალური იდეა, ყველა თავისი დიდი თუ პატარა ნაკლოვანებობით.

კონფედერაციის მომხრეების მთავარი არგუმენტია, რომ კავკასია წარმოადგენს ერთ მთლიან გეოგრაფიულ ერთეულს და მეურნეობის მხრივაც განუყოფელი ორგანიზმია. რომ კავკასიის მოსახლეობას აერთიანებს ერთი-მეორის მსგავსი თვისებები და რაც მთავარია, რომ ყოველ მათგანს სურს იცხოვროს საკუთარი დამოუკიდებელი ცხოვრებით. ძალა ერთობაშია.... ამიტომ საჭიროა ჩვენი გაერთება, რათა აღვიდგინოთ დამოუკიდებლობა და შემდეგ ის განვამტკიცოდ და შევინარჩუნოდ.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ამგვარ მოსაზრებებს და გაერთიანების აუცილებლობას, მაგრამ კონფედერაციის მომხრენი ფიქრობენ,რომ მხოლოდ მათ შეუძლიანთ კავკასიის გაერთიანება, ჩვენის აზრით კი გაერთიანებისთვის არსებობს სხვა, უფრო გონიერი და მიზანშეწონილი საშუალებები.

ევროპის ჩრდილოეთით არსებობს სკანდინავიის ნახევარკუნძული. ეს არ წარმოადგენს კავკასიაზე უფრო ნაკლებ მთლიან გეოგრაფიულ ერთეულს, მისი მოსახლეობა ეთნიურად, უფრო ახლო დგანან ერთი-მეორესთან, ვიდრე კავკასიის მოსახლეობაა, მათაც იგივე ინტერესები აკავშირებთ და ისევე სწამთ, რომ ძალა ერთობაშია, როგორც ჩვენ, მაგრამ ამას სრულებითაც არ დაუვალდებულებია სკანდინავიის ქვეყნები, რომ ისენი კონფედერატიულად შეკრულიყვნენ. უფრო მეტიც: შორეულ წარსულში ისენი გადაბმულნი იყვნენ უნიით, მაგრამ მათ ამჯობინეს უნიიდან განთავისუფლება და დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოების შექმნა. „ძალა ერთობაშია“, მათ განახორციელეს იმ გვარად, რომ საერთო სკანდინავურ ინტერესების საკითხებში მოახერხეს გულწრფელი შეთანხმება, რომელსაც ყოველი სკანდინაველი აღიარებს, პატივსა სცემს და მას საღმრთო მოვალეობით იცავს. ჩვენის ღრმა რწმენით, ამ გვარად შეკრული ერთობა ბევრათ უფრო ჯანმრთელი და სიცოცხლემოსილია და უპასუხებს ერთა ურთიერთობის რეალურ მოთხოვნილებას, ვიდრე ხელოვნურად შეკოწიწებული კონფედერაცია.

დ. შალიკაშვილი.

*EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia. EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli, PUBLISHER: Georgian National Alliance, 40 E. 65 St., N. Y. C.*